

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

ბოლოს განახლდა 2022 წლის 22 თებერვალს.

ჩვენ (დიჯიტალ ნიუსი) პატივს ვცემთ თქვენს კონფიდენციალურობას და გვსურს, მოგაწოდოთ ინფორმაცია, როგორ ვაგროვებთ, ვიყენებთ და ვაზიარებთ თქვენს მონაცემებს. კონფიდენციალურობის პოლიტიკა მოიცავს მონაცემთა შეგროვების ჩვენს პრაქტიკას და აღწერს თქვენს უფლებებს თქვენს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით.

სერვისების გამოყენებით თქვენ ეთანხმებით ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის პირობებს. თქვენ არ უნდა გამოიყენოთ სერვისები, თუ არ ეთანხმებით ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკას ან სხვა შეთანხმებას, რომელიც არეგულირებს თქვენ მიერ სერვისების გამოყენებას.

სარჩევი

1. რა მონაცემებს ვიღებთ
2. როგორ ვიღებთ მონაცემებს თქვენ შესახებ
3. რისთვის ვიყენებთ თქვენს მონაცემებს
4. ვის ვუზიარებთ თქვენს მონაცემებს
5. უსაფრთხოება
6. თქვენი უფლებები
7. განახლებები და საკონტაქტო ინფორმაცია

1. რა მონაცემებს ვიღებთ

ჩვენ უშუალოდ ვაგროვებთ თქვენგან გარკვეულ მონაცემებს, როგორცაა ინფორმაცია, რომელსაც თქვენ თავად შეიყვანთ, მონაცემები თქვენი კონტენტის მოხმარების შესახებ და მონაცემები მესამე მხარის პლატფორმებიდან, რომლებითაც უკავშირდებით პლატფორმას. ჩვენ ასევე ავტომატურად ვაგროვებთ გარკვეულ მონაცემებს, როგორცაა ინფორმაცია თქვენი მოწყობილობის შესახებ და ჩვენი სერვისების რომელ ნაწილებთან ურთიერთობთ ან ატარებთ დროს.

1.1. მონაცემები, რომლებსაც გვაწვდით

ჩვენ შეიძლება შევაგროვოთ სხვადასხვა მონაცემები თქვენგან ან თქვენ შესახებ იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებთ სერვისებს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი, რომლებიც დაგეხმარებათ უკეთ გაიგოთ ჩვენ მიერ შეგროვებული მონაცემები.

როდესაც თქვენ ქმნით ანგარიშს და იყენებთ სერვისებს, ჩვენ ვაგროვებთ თქვენს მიერ პირდაპირ მოწოდებულ მონაცემებს, მათ შორის:

- ანგარიშის მონაცემები

გარკვეული ფუნქციების გამოსაყენებლად (როგორცაა კონტენტზე წვდომა), თქვენ უნდა შექმნათ მომხმარებლის ანგარიში. როდესაც შექმნი თქვენს ანგარიშს, საიტის გარკვეული ფუნქციების გამოსაყენებლად შეიძლება, მოგეთხოვოთ დამატებითი ინფორმაციის მითითება, როგორცაა სრული სახელი და გვარი, ელ.ფოსტა, საკონტაქტო ნომერი, თქვენი სხვა პლატფორმების ბმულები.

- პროფილის მონაცემები

თქვენ ასევე შეგიძლიათ აირჩიოთ პროფილის დამატებითი ინფორმაციის მოწოდება, როგორცაა ფოტო, ბიოგრაფია, ვებსაიტების ბმულები, სოციალური მედიის პროფილები, ან სხვა მონაცემები. ლექტორის სტატუსით ანგარიშის შექმნის შემთხვევაში, თქვენი პროფილის მონაცემები საჯაროდ ხილული იქნება სხვებისთვის.

- კონტენტი

ჩვენი სერვისების საშუალებას გაძლევთ, გამოჩინდეთ სხვა მომხმარებლებთან ან გააზიაროთ კონტენტი საჯაროდ, მათ შორის მიმოხილვების გამოქვეყნებით, კითხვების დასმით ან პასუხებით, სტუდენტებისთვის ან ლექტორებისთვის შეტყობინებების გაგზავნით, ან ფოტოების ან სხვა ნამუშევრების გამოქვეყნებით, რომლებიც ატვირთეთ. ასეთი გაზიარებული კონტენტი შეიძლება საჯაროდ იყოს ხილული სხვებისთვის იმის მიხედვით, თუ სად არის ის გამოქვეყნებული.

- საგანმანათლებლო კონტენტის მონაცემები

როდესაც თქვენ წვდომას იღებთ კონტენტზე, ჩვენ ვაგროვებთ გარკვეულ მონაცემებს, მათ შორის, რომელი კურსები, დავალებები, ქვიზები შეასრულეთ; კონტენტის შესყიდვები; სერთიფიკატები; თქვენი კომუნიკაცია ლექტორებთან, ასისტენტებთან და სხვა სტუდენტებთან; თუ თქვენ ხართ ლექტორი, ჩვენ ვინახავთ თქვენს საგანმანათლებლო კონტენტს, რომელიც შეიძლება შეიცავდეს თქვენ შესახებ მონაცემებს.

- სტუდენტის გადახდის მონაცემები

თუ თქვენ ყიდულობთ კურსს, ჩვენ ვაგროვებთ გარკვეულ მონაცემებს თქვენი შესყიდვის შესახებ საჭიროებისამებრ თქვენი შეკვეთის დასამუშავებლად და ისინი შეიძლება შენახული იყოს მომავალი შეკვეთების დასამუშავებლადაც. თქვენ უნდა მიაწოდოთ გარკვეული გადახდის მონაცემები პირდაპირ ჩვენს გადახდის სერვისის პროვაიდერებს, მათ შორის თქვენი სახელი, საკრედიტო ბარათის ინფორმაცია. ჩვენ ასევე შეიძლება მივიღოთ შეზღუდული ინფორმაცია, როგორცაა ის ფაქტი, რომ თქვენ გაქვთ ახალი ბარათი და ამ ბარათის ბოლო ოთხი ციფრი, გადახდის სერვისის პროვაიდერებისგან გადახდების გასაადვილებლად. უსაფრთხოების მიზნით, დიჯიტალ ნიუსი არ აგროვებს ან ინახავს ბარათის მფლობელის მონაცემებს, როგორცაა საკრედიტო ბარათის სრული ნომრები ან ბარათის ავთენტიფიკაციის მონაცემები.

- ლექტორის გადახდის მონაცემები

თუ ლექტორი ხართ, გადახდების მისაღებად ჩვენ ვაგროვებთ და ვიყენებთ გარკვეულ ინფორმაციას, მათ შორის თქვენი გადახდის ანგარიშის ელფოსტის მისამართს, ანგარიშის ID-ს, ფიზიკურ მისამართს ან სხვა მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია ჩვენთვის თქვენს ანგარიშზე ანგარიშსწორების განსახორციელებლად. ზოგიერთ შემთხვევაში, მოქმედი კანონების დაცვის მიზნით, ჩვენ ასევე ვმუშაობთ სანდო მესამე მხარეებთან, რომლებიც

აგროვებენ საგადასახადო ინფორმაციას კანონიერი მოთხოვნის შესაბამისად. ეს საგადასახადო ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს რეზიდენტობის ინფორმაციას, საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომრებს, ბიოგრაფიულ ინფორმაციას და სხვა პირად ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია საგადასახადო მიზნებისთვის. თქვენი გადახდისა და საგადასახადო მონაცემების შეგროვება, გამოყენება და გამჟღავნება ექვემდებარება კონფიდენციალურობის პოლიტიკას და თქვენი გადახდის ანგარიშის პროვაიდერის სხვა პირობებს.

- მონაცემები თქვენი ანგარიშების შესახებ სხვა სერვისებზე

ჩვენ შეიძლება მივიღოთ გარკვეული ინფორმაცია თქვენი სოციალური მედიის ან სხვა ონლაინ ანგარიშების მეშვეობით, თუ ისინი დაკავშირებულია თქვენს ანგარიშთან. როცა თქვენ შესვალთ პლატფორმაზე Facebook-ის ან სხვა მესამე მხარის პლატფორმის ან სერვისის მეშვეობით, ჩვენ ვითხოვთ თქვენს ნებართვას ამ სხვა ანგარიშის შესახებ გარკვეული ინფორმაციაზე წვდომისთვის. მაგალითად, პლატფორმიდან ან სერვისიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება შევაგროვოთ თქვენი სახელი, პროფილის სურათი, ანგარიშის ID ნომერი, შესვლის ელფოსტის მისამართი, მდებარეობა, თქვენი წვდომის მოწყობილობების ფიზიკური მდებარეობა, სქესი, დაბადების დღე და მეგობრების ან კონტაქტების სია.

ეს პლატფორმები და სერვისები გვაწვდის ინფორმაციას მათი API-ების მეშვეობით. ინფორმაცია, რომელსაც ვიღებთ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინფორმაციის მოწოდებას გადაწყვეტთ თქვენ (თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრების მეშვეობით).

- პრომოცია

ჩვენ შეიძლება, მოგიწვიოთ გამოკითხვიაში ან საპრომოციო აქციაში მონაწილეობის მისაღებად (როგორცაა კონკურსი, გათამაშება ან გამოწვევა), სერვისების ან მესამე მხარის პლატფორმის მეშვეობით. თუ მონაწილეობას მიიღებთ, ჩვენ შევაგროვებთ და შევინახავთ თქვენ მიერ მოწოდებულ მონაცემებს მონაწილეობის ფარგლებში, როგორცაა თქვენი სახელი, ელფოსტის მისამართი, დაბადების თარიღი ან ტელეფონის ნომერი. ეს მონაცემები ექვემდებარება წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკას, თუ სხვა რამ არ არის მითითებული პრომოციის ოფიციალურ წესებში ან სხვა კონფიდენციალურობის პოლიტიკაში. შეგროვებული მონაცემები გამოყენებული იქნება აქციების ან გამოკითხვების ადმინისტრირებისთვის, მათ შორის გამარჯვებულების შეტყობინებისა და ჯილდოების განაწილებისთვის. ჯილდოს მისაღებად შეიძლება, მოგიწიოთ უფლება მოგვცეთ თქვენი ზოგიერთი ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებაზე. სადაც ჩვენ ვიყენებთ მესამე მხარის პლატფორმას გამოკითხვის ან სხვა პრომოციის ადმინისტრირებისთვის, მესამე მხარის კონფიდენციალურობის პოლიტიკა გავრცელდება.

- კომუნიკაციისა და მხარდაჭერის სერვისი

თუ ჩვენი მხარდაჭერის გუნდს მიმართავთ გარკვეული პრობლემის თაობაზე, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაციის, მიმოწერის და სხვა მონაცემების შეგროვება/შენახვაზე, რაც გამოყენებული იქნება პრობლემის აღმოფხვრის პროცესში. ჩვენ ამ ინფორმაციას გამოვიყენებთ მომდევნო ეტაპებზე თქვენი პრობლემების უფრო სწრაფად მოგვარებისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები ინახება ჩვენს მიერ და დაკავშირებულია თქვენს ანგარიშთან.

1.2. ჩვენ ვაგროვებთ მონაცემებს ავტომატური საშუალებებით

როდესაც თქვენ წვდებით სერვისებს (მათ შორის კონტენტის ძების ფორმით), ჩვენ ვაგროვებთ გარკვეულ მონაცემებს ავტომატური საშუალებებით, მათ შორის:

სისტემის მონაცემები

ტექნიკური მონაცემები თქვენი კომპიუტერის ან მოწყობილობის შესახებ, როგორცაა თქვენი IP მისამართი, მოწყობილობის ტიპი, ოპერაციული სისტემის ტიპი და ვერსია, უნიკალური მოწყობილობის იდენტიფიკატორები, ბრაუზერი, ბრაუზერის ენა, დომენის და სხვა სისტემების მონაცემები და პლატფორმის ტიპები.

გამოყენების მონაცემები

მომხმარებლის სტატისტიკა სერვისებთან თქვენი ურთიერთქმედების შესახებ, მათ შორის წვდომა კონტენტზე, გვერდებზე ან სერვისზე გატარებული დრო, მონახულებული გვერდები, გამოყენებული ფუნქციები, თქვენი საძიებო მოთხოვნები, დაკლიკების მონაცემები, თარიღი და დრო და სხვა მონაცემები სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით.

სავარაუდო გეოგრაფიული მონაცემები

სავარაუდო გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, როგორცაა ქვეყანა, ქალაქი და გეოგრაფიული კოორდინატები, გამოითვლება თქვენი IP მისამართის საფუძველზე.

1.3. მონაცემები მესამე მხარისგან

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები გროვდება სერვერის ფაილებისა და ადრიცხვის ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი ქვემოთ მოცემულ სექციაში „ქუქი ფაილები და მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები“. ის ინახება ჩვენ მიერ და დაკავშირებულია თქვენს ანგარიშთან.

2. როგორ ვიღებთ მონაცემებს თქვენ შესახებ

ჩვენ ვიყენებთ ინსტრუმენტებს, როგორცაა Cookies, web beacons და მსგავსი ადრიცხვის ტექნოლოგიები ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების შესაგროვებლად. ზოგიერთი ეს ინსტრუმენტი გთავაზობთ შესაძლებლობას, უარი თქვათ მონაცემთა გაზიარებაზე.

2.1. Cookies და მონაცემთა შეგროვების ხელსაწყოები

ჩვენ ვიყენებთ cookie-ფაილებს, რომლებიც არის თქვენი ბრაუზერის მიერ შენახული მცირე ზომის ტექსტური ფაილები, რათა შევავსოთ, ვნახოთ და გავაზიაროთ თქვენი აქტივობების მონაცემები პლატფორმაზე. ისინი გვაძლევს საშუალებას, დავიმახსოვროთ თქვენი ვიზიტების შესახებ, მაგალითად, სასურველი ენა, და გავხადოთ საიტი უფრო მარტივად გამოსაყენებელი.

დოკუმენტალ ნიუსი და სერვისის პროვაიდერები, რომლებიც მოქმედებენ ჩვენი სახელით (როგორცაა Google Analytics და მესამე მხარის რეკლამის განმთავსებლები) იყენებენ სერვერის ფაილებს და მონაცემთა შეგროვების ავტომატურ ინსტრუმენტებს, როგორცაა cookies, Tგები, სკრიპტები, მორგებული ბმულები, მოწყობილობის ან ბრაუზერის თითის ანაბეჭდები (ანუ მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები), როდესაც თქვენ წვდებით და იყენებთ სერვისებს.

მონაცემთა შეგროვების ეს ხელსაწყოები ავტომატურად აკონტროლებს და აგროვებს გარკვეულ სისტემურ მონაცემებს და გამოყენების მონაცემებს (როგორც დეტალურადაა აღწერილი პირველ ნაწილში), როდესაც იყენებთ სერვისებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ ვაკავშირებთ ამ ხელსაწყოების მეშვეობით შეგროვებულ მონაცემებს სხვა მონაცემებთან, რომლებსაც ვაგროვებთ, როგორც აღწერილია ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში.

2.2. რატომ ვიყენებთ მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებს

დიჯიტალ ნიუსი იყენებს მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებს შემდეგი ტიპის მიზნებისთვის:

მკაცრად აუცილებელი: მონაცემთა შეგროვების ეს ხელსაწყოები საშუალებას გაძლევთ, შეხვიდეთ საიტზე, უზრუნველყოთ ძირითადი ფუნქციონირება (როგორცაა შესვლა ან წვდომა კონტენტზე), დაიცვათ საიტი თაღლითური შესვლებისაგან და აღმოაჩინოთ და თავიდან აიცილოთ თქვენი ანგარიშის ბოროტად გამოყენება ან არაავტორიზებული გამოყენება. ეს საჭიროა სერვისების გამართულად მუშაობისთვის, ასე რომ, თუ მათ გამორთავთ, საიტის ნაწილები მიუწვდომელი გახდება.

ფუნქციონალური: მონაცემთა შეგროვების ეს ხელსაწყოები იმახსოვრებს მონაცემებს თქვენი ბრაუზერისა და თქვენი პრეფერენციების შესახებ, უზრუნველყოფს საიტის დამატებით ფუნქციონირებას, არეგულირებს კონტენტს, რათა უფრო რელევანტური იყოს თქვენთვის და დაიმახსოვროს პარამეტრები, რომლებიც გავლენას ახდენენ სერვისების ვიზუალსა და ფუნქციონალზე (როგორცაა თქვენთვის სასურველი ენა ან ვიდეოს ხმის დონე).

შესრულება: მონაცემთა შეგროვების ეს ხელსაწყოები გვეხმარება, გავზომოთ და გავაუმჯობესოთ სერვისები გამოყენებისა და მუშაობის მონაცემების, ვიზიტების რაოდენობის, ტრაფიკის წყაროების ან სხვა ინფორმაციების დახმარებით. ეს ხელსაწყოები დაგვეხმარება დავტესტოთ პლატფორმის სხვადასხვა ვერსიები, რათა დავინახოთ, რომელ ფუნქციებს ან კონტენტს ანიჭებენ უპირატესობას მომხმარებლები.

რეკლამა: მონაცემთა შეგროვების ეს ხელსაწყოები გამოიყენება შესაბამისი რეკლამის მიწოდებისთვის (საიტზე და/ან სხვა საიტებზე) იმის საფუძველზე, რაც ჩვენ ვიცით თქვენ შესახებ, როგორცაა გამოყენებისა და სისტემის მონაცემები (როგორც დეტალურადაა აღწერილი პირველ ნაწილში). რეკლამები შეიძლება ეფუძნებოდეს თქვენს ბოლო აქტივობას ან აქტივობებს დროთა განმავლობაში სხვა საიტებსა და სერვისებში. მორგებული რეკლამის მიწოდების მხარდასაჭერად ჩვენ შეიძლება მივაწოდოთ სერვისის პროვაიდერებს თქვენი ელფოსტის მისამართის ანონიმური ვერსია (ადამიანისთვის წასაკითხი ფორმით) და კონტენტი, რომელსაც საჯაროდ აზიარებთ სერვისებში.

სოციალური მედია: მონაცემთა შეგროვების ეს ხელსაწყოები საშუალებას აძლევს სოციალური მედიის ფუნქციონირებას, როგორცაა კონტენტის გაზიარება მეგობრებთან და სხვა ქსელებთან. Cookie-ს შეუძლია, თვალყური ადევნოს მომხმარებელს ან მოწყობილობას სხვა საიტებზე და შექმნას მომხმარებლის ინტერესების პროფილი მიზნობრივი სარეკლამო შესაძლებლობებისთვის.

თქვენ შეგიძლიათ დააყენოთ თქვენი ვებ ბრაუზერი ისე, რომ მიიღოთ გაფრთხილება თქვენს კომპიუტერში Cookie-ების განთავსების მცდელობის შესახებ, შეზღუდოთ თქვენს მიერ დაშვებული Cookies ტიპები ან საერთოდ უარი თქვას ასეთ ფაილებზე. თუ ამას აკეთებთ, შესაძლოა ვერ შეძლოთ სერვისების ზოგიერთი ან ყველა ფუნქციის გამოყენება და თქვენი გამოცდილება შეიძლება იყოს განსხვავებული ან ნაკლებად ფუნქციონალური. მონაცემთა შეგროვების ხელსაწყოების მართვის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავში 6.1 (თქვენი არჩევანი თქვენი მონაცემების გამოყენების შესახებ).

3. რისთვის ვიყენებთ თქვენს მონაცემებს

ჩვენ ვიყენებთ თქვენს მონაცემებს ჩვენი სერვისების მიწოდებისთვის, თქვენთან კომუნიკაციისთვის, პრობლემების გადასაჭრელად, თაღლითობისა და ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად, ჩვენი სერვისების გაუმჯობესებისა და განახლებისთვის, ანალიზისთვის, თუ როგორ იყენებენ ადამიანები ჩვენს სერვისებს, ეცნობიან პერსონალიზებულ რეკლამას და ასევე კანონით მოთხოვნილი ან საჭირო უსაფრთხოებისათვის. ჩვენ ვინახავთ თქვენს მონაცემებს მანამ, სანამ ეს საჭიროა იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ისინი შეგროვდა.

ჩვენ ვიყენებთ მონაცემებს, რომლებსაც ვაგროვებთ თქვენგან სერვისების გამოყენებით შემდეგი მიზნებისთვის:

- სერვისების უზრუნველყოფა და ადმინისტრირება, საგანმანათლებლო კონტენტზე წვდომის გამარტივება, სერტიფიკატების გაცემა, მორგებული კონტენტის ჩვენება და სხვა მომხმარებლებთან კომუნიკაციის ხელშეწყობა;
- ლექტორებთან და სხვა მესამე პირებთან გადახდების პროცესი;
- თქვენი მოთხოვნების დამუშავება საგანმანათლებლო კონტენტის, პროდუქტების, კონკრეტული სერვისების, ინფორმაციის ან ფუნქციების შესახებ;
- თქვენთან დაკავშირება:
 - თქვენს კითხვებსა და პრობლემებზე პასუხის გაცემა;
 - ადმინისტრაციულ შეტყობინებების და ინფორმაციის მოწოდება, მათ შორის ლექტორების, სტუდენტებისა და ასისტენტების წერილები; შეტყობინებები ჩვენს სერვისში ცვლილებების შესახებ; და ჩვენი ხელშეკრულებების განახლებები;
 - ინფორმაციის მოწოდება, როგორცაა ელექტრონული ფოსტით ან ტექსტური შეტყობინებები, თქვენი პროგრესის შესახებ კურსებზე, ჯილდოს პროგრამებში, ახალ სერვისებზე, ახალ ფუნქციებზე, აქციებზე, საინფორმაციო ბიულეტენებზე და ლექტორის მიერ შექმნილი სხვა ხელმისაწვდომი კონტენტის შესახებ (რომელზეც შეგიძლიათ უარი თქვათ ნებისმიერ დროს);
 - Push-შეტყობინებების გაგზავნა თქვენს მოწყობილობაზე განახლებებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის შესახებ (რომლის მართვაც შეგიძლიათ მობილური აპლიკაციის პარამეტრებიდან)
- თქვენი ანგარიშისა და ანგარიშის პრეფერენციების მართვა თქვენი გამოცდილების პერსონალიზაცია;

- სერვისების ტექნიკური ფუნქციონირების ხელშეწყობა, მათ შორის პრობლემების აღმოფხვრა და გადაჭრა, სერვისების დაცვა, თაღლითობისა და ბოროტად გამოყენების პრევენცია;
- ლექტორის ვინაობის გადამოწმება;
- მომხმარებლისგან უკუკავშირის მოთხოვნა;
- პროდუქტები, მომსახურება, გამოკითხვები და აქციები;
- ყოველთვიური გამოწერის ფუნქციები პერსპექტიული მომხმარებლებისთვის;
- უნიკალური მომხმარებლების იდენტიფიცირება მოწყობილობებში;
- მორგებული რეკლამები მოწყობილობებზე;
- ჩვენი სერვისების გაუმჯობესება და ახალი პროდუქტების, სერვისების თუ ფუნქციების განვითარება;
- ტენდენციებისა და ტრაფიკის ანალიზი, შესყიდვებზე თვალყურის დევნება;
- სერვისების რეკლამა მესამე მხარის ვებსაიტებზე და აპლიკაციებზე;
- როგორც ამას მოითხოვს ან კანონით ნებადართულია; ან
- თუ ჩვენ ჩვენი შეხედულებისამებრ, სხვაგვარად განვსაზღვრავთ, რომ აუცილებელია ჩვენი მომხმარებლების, თანამშრომლების, მესამე მხარის, საზოგადოების ან ჩვენი სერვისების უსაფრთხოების ან მთლიანობის უზრუნველყოფა.

4. ვის ვუზიარებთ თქვენს მონაცემებს

ჩვენ ვუზიარებთ თქვენ შესახებ გარკვეულ მონაცემებს ლექტორებს, სხვა სტუდენტებს, კომპანიებს, რომლებიც ასრულებენ მომსახურებას ჩვენთვის, ჩვენს ბიზნეს პარტნიორებს, ანალიტიკისა და მონაცემთა მწარმოებელ პროვაიდერებს, თქვენი სოციალური მედიის პროვაიდერებს, კომპანიებს, რომლებიც გვხმარებიან აქციებისა და გამოკითხვების განხორციელებაში, და სარეკლამო კომპანიებს, რომლებიც გვხმარებიან ჩვენი სერვისების პოპულარიზაციაში. ჩვენ ასევე შეიძლება გავაზიაროთ თქვენი მონაცემები, როგორც ეს საჭიროა უსაფრთხოებისთვის, იურიდიული შესაბამისობისთვის ან როგორც კორპორატიული რესტრუქტურისთვის ნაწილი. და ბოლოს, ჩვენ შეგვიძლია გავაზიაროთ მონაცემები სხვა გზით, თუ მივიღებთ თქვენს თანხმობას.

ჩვენ შეიძლება გავაზიაროთ თქვენი მონაცემები:

- თქვენს ლექტორებთან: ჩვენ ვუზიარებთ თქვენ შესახებ არსებულ ლექტორებს ან ასისტენტებს საგანმანათლებლო კონტენტის შესახებ, რომლებზეც თქვენ გაქვთ წვდომა ან მოითხოვთ ინფორმაცია, რათა მათ გაუმჯობესონ კონტენტი თქვენთვის და სხვა სტუდენტებისთვის. ეს მონაცემები შეიძლება შეიცავდეს ისეთ რამეებს, როგორიცაა თქვენი ქალაქი, ქვეყანა, ბრაუზერის ენა, ოპერაციული სისტემა, მოწყობილობის პარამეტრები, საიტი, რომელმაც მიგიყვანა პლატფორმაზე და თქვენი აქტივობები პლატფორმაზე. თუ ჩვენ ვაგროვებთ დამატებით მონაცემებს თქვენ შესახებ (როგორიცაა ასაკი ან სქესი), შესაძლოა ესეც გავაზიაროთ.
- სხვა სტუდენტებთან და ლექტორებთან: თქვენი პარამეტრებიდან გამომდინარე, თქვენი გაზიარებული კონტენტი და პროფილის მონაცემები შეიძლება საჯაროდ იყოს ხილული, მათ შორის სხვა სტუდენტებისა და ლექტორებისთვის. თუ შეკითხვას დაუსვამთ ინსტრუქტორს ან ასისტენტს, თქვენი ინფორმაცია (მათ შორის თქვენი სახელი) შესაძლოა

საჯაროდ იყოს ხილული. ასე რომ თქვენ არ უნდა გამოაქვეყნოთ რაიმე კონფიდენციალური ან საკუთრების ინფორმაცია.

- სერვისის პროვაიდერებთან, კონტრაქტორებთან და აგენტებთან: ჩვენ ვუზიარებთ თქვენს მონაცემებს მესამე მხარის კომპანიებს, რომლებიც ასრულებენ სერვისებს ჩვენი სახელით, როგორცაა გადახდის დამუშავება, თაღლითობისა და ბოროტად გამოყენების პრევენცია, მონაცემთა ანალიზი, მარკეტინგული და სარეკლამო სერვისები (მათ შორის გამიზნული რეკლამა), ელფოსტა და ჰოსტინგი, მომხმარებელთა მომსახურება და მხარდაჭერა. ამ სერვისის პროვაიდერებს შეუძლიათ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა და მათ მოეთხოვებათ გამოიყენონ ისინი მხოლოდ ისე, როგორც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, ჩვენი მოთხოვნილი სერვისის უზრუნველსაყოფად.
- Affiliate პარტნიორებთან: ჩვენ შეიძლება გავაზიაროთ თქვენი მონაცემები ჩვენი კორპორატიული კომპანიების ფარგლებში, რათა საშუალება მოგვცეს გავაუმჯობესოთ სერვისების მიწოდება.
- ბიზნეს პარტნიორებთან: ჩვენ გვაქვს შეთანხმებები სხვა ვებსაიტებთან და პლატფორმებთან, რათა გავავრცელოთ ჩვენი სერვისები და მოვიყვანოთ ტრაფიკი პლატფორმაზე.
- კრედიტის მიმღებ ორგანიზაციებთან უწყვეტი განათლებისთვის: თუ თქვენ გაივლით კურსს უწყვეტი პროფესიული განათლების მოთხოვნის შესასრულებლად, ჩვენ შეგვიძლია გავაზიაროთ ეს ინფორმაცია უწყვეტი განათლების კრედიტის მიმნიჭებელი ორგანიზაციის მოთხოვნით.
- ანალიტიკისა და მონაცემთა დამუშავების სერვისებით: მესამე მხარის ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენების ნაწილი, როგორცაა Google Analytics და მონაცემთა დამუშავების სერვისები, ჩვენ ვუზიარებთ გარკვეულ საკონტაქტო ინფორმაციას, ანგარიშის მონაცემებს, სისტემის მონაცემებს, გამოყენების მონაცემებს (როგორც დეტალურადაა პირველ ნაწილში).
- სოციალური მედიის ფუნქციების გასაძლიერებლად: სერვისებში სოციალური მედიის ფუნქციებმა (როგორცაა Facebook-ის მოწონების ღილაკი) შეიძლება შეაგროვოს ისეთი რამ, როგორცაა თქვენი IP მისამართი და სერვისების რომელ გვერდს სტუმრობთ და დააყენოს cookie ფაილი ფუნქციის გასააქტიურებლად. ამ ფუნქციებთან თქვენი ურთიერთქმედება რეგულირდება მესამე მხარის კომპანიის კონფიდენციალურობის პოლიტიკით.
- აქციებისა და გამოკითხვების ადმინისტრირება: ჩვენ შეიძლება გავაზიაროთ თქვენი მონაცემები საჭიროებისამებრ, რათა ადმინისტრირება, გაყიდვები ან სპონსორობა განხორციელდეს პრომოაციებსა და გამოკითხვებში, რომლებშიც მონაწილეობას ირჩევთ, როგორც ამას მოითხოვს მოქმედი კანონი (როგორცაა გამარჯვებულთა სიის მიწოდება ან საჭირო დოკუმენტაციის შედგენა) ან აქციის ან გამოკითხვის წესების შესაბამისად.
- რეკლამისთვის: თუ გადაწყვეტთ, გამოვიყენოთ რეკლამით მხარდაჭერილი შემოსავლის მოდელი, ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ და გავუზიაროთ გარკვეული სისტემის მონაცემები და გამოყენების მონაცემები მესამე მხარის რეკლამის განმთავსებლებსა და ქსელებს, რათა ვნახოთ ზოგადი დემოგრაფიული და პრეფერენციული ინფორმაცია ჩვენს მომხმარებლებს შორის. ჩვენ ასევე შეიძლება მივცეთ რეკლამის განმთავსებლებს საშუალება, შეაგროვონ სისტემის მონაცემები მონაცემთა შეგროვების ხელსაწყოების საშუალებით (როგორც დეტალურად არის აღწერილი 2.1 ნაწილში), გამოიყენონ ეს მონაცემები, რათა შემოგთავაზოთ მიზნობრივი რეკლამის მოწოდება თქვენი მომხმარებლის გამოცდილების პერსონალიზებისთვის (ქცევითი რეკლამის საშუალებით) და განვახორციელოთ ვებ

ანალიტიკა. მეტის გასაგებად ან სარეკლამო ქსელების ქცევითი რეკლამისგან უარის თქმის მიზნით, იხილეთ სექცია 6.1 (თქვენი არჩევანი თქვენი მონაცემების გამოყენების შესახებ). გაითვალისწინეთ, რომ უარის თქმის შემთხვევაში, თქვენ კვლავ მოგივით ზოგადი რეკლამები.

- უსაფრთხოებისა და იურიდიული შესაბამისობისთვის: ჩვენ შეიძლება გავუმჯლავნოთ თქვენი მონაცემები მესამე მხარეებს, თუ ჩვენ (ჩვენი შეხედულებისამებრ) გვჯერა, რომ გამჟღავნება არის:
 - კანონით ნებადართული ან მოთხოვნილი;
 - მოთხოვნილი სასამართლო, სამთავრობო ან იურიდიული გამოძიების, ბრძანების ან წარმოების ნაწილი;
 - გონივრულად აუცილებელი, როგორც მოქმედი მოთხოვნის, ორდერის ან სხვა იურიდიულად მოქმედი მოთხოვნის ნაწილი;
 - გონივრულად აუცილებელი ჩვენი გამოყენების პირობების, კონფიდენციალურობის პოლიტიკისა და სხვა სამართლებრივი შეთანხმებების აღსასრულებლად;
 - საჭირო თაღლითობის, ბოროტად გამოყენების, კანონის (ან წესების და რეგულაციების) პოტენციური დარღვევის ან უსაფრთხოების ან ტექნიკური საკითხების აღმოსაჩენად, თავიდან აცილების მიზნით; ან
 - გონივრულად აუცილებელია ჩვენი შეხედულებისამებრ, რათა დავიცვათ ჩვენი მომხმარებლების, თანამშრომლების, საზოგადოების წევრების ან ჩვენი სერვისების უფლებები, საკუთრება ან უსაფრთხოება გარდაუვალი ზიანისგან.
- კონტროლის ცვლილების დროს: თუ პლატფორმა გაივლის საქმიან ტრანზაქციას, როგორცაა შერწყმა, შესყიდვა, კორპორატიული ინვესტიცია ან დაშლა (გაკოტრების ჩათვლით), ან მისი მთელი ან ზოგიერთი აქტივის გაყიდვა, ჩვენ შეგვიძლია გავაზიაროთ, გავამჟღავნოთ ან გადავიტანოთ ყველა თქვენი მონაცემი მემკვიდრე ორგანიზაციისთვის ასეთი გადასვლისას ან გადასვლის განხილვისას (მათ შორის სათანადო ექსპერტიზის დროს).
- აგრეგაციის/დეიდენტიფიკაციის შემდეგ: ჩვენ შეიძლება გავამჟღავნოთ ან გამოვიყენოთ აგრეგირებული ან დეიდენტიფიცირებული მონაცემები ნებისმიერი მიზნით.
- თქვენი ნებართვით: თქვენი თანხმობით, ჩვენ შეიძლება გავუზიაროთ მონაცემები მესამე პირებს ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის ფარგლებს გარეთ.

5. უსაფრთხოება

ჩვენ ვიყენებთ შესაბამის უსაფრთხოებას შენახული მონაცემების ტიპისა მიხედვით. როგორც ნებისმიერი ინტერნეტით ჩართული სისტემის შემთხვევაში, ყოველთვის არის არაავტორიზებული წვდომის რისკი, ამიტომ მნიშვნელოვანია დავიცვათ თქვენი პაროლი და დავიკავშირდეთ, თუ ეჭვი გეპარებათ თქვენს ანგარიშზე არაავტორიზებული წვდომის შესახებ.

დიჯიტალ ნიუსი იღებს უსაფრთხოების შესაბამის ზომებს, რათა დავიცვათ თქვენი პირადი მონაცემების არაავტორიზებული წვდომა, შეცვლა, გამჟღავნება ან განადგურება, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ და ვინახავთ. ეს ზომები განსხვავდება მონაცემთა ტიპისა და სენსიტიურობის მიხედვით. თუმცა, სამწუხაროდ, არცერთი სისტემა არ შეიძლება იყოს 100%-ით დაცული, ამიტომ ჩვენ ვერ მოგვმთ გარანტიას, რომ თქვენსა და პლატფორმას შორის კომუნიკაცია,

სერვისები ან ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის მოწოდებულია იმ მონაცემებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვენ ვაგროვებთ სერვისების მეშვეობით, იქნება თავისუფალი მესამე მხარის მიერ არაავტორიზებული წვდომისგან. თქვენი პაროლი ჩვენი უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია და მისი დაცვა თქვენი პასუხისმგებლობაა. თქვენ არ უნდა გაუზიაროთ თქვენი პაროლი მესამე მხარეს და თუ ფიქრობთ, რომ თქვენი პაროლი ან ანგარიში გატეხილია, დაუყოვნებლივ უნდა შეცვალოთ იგი და დაუკავშირდით ჩვენს მხარდაჭერის გუნდს ნებისმიერი რისკის შემთხვევაში.

6. თქვენი უფლებები

თქვენ გაქვთ გარკვეული უფლებები თქვენი მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით, მათ შორის შესაძლებლობა, უარი თქვათ სარეკლამო ელ.ფოსტაზე, ქუქი-ფაილებზე და მესამე მხარის მიერ თქვენი მონაცემების შეგროვებაზე. თქვენ შეგიძლიათ, განაახლოთ ან შეწყვიტოთ თქვენი ანგარიში ჩვენი სერვისებიდან, ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ თქვენი პირადი მონაცემების შესახებ ინდივიდუალური უფლებების მოთხოვნებისთვის. მშობლებმა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ჩვენ უნებლიედ შევაგროვებთ მათი არასრულწლოვანი შვილის პერსონალური მონაცემები, უნდა დაგვიკავშირდნენ ამ ინფორმაციის წაშლისთვის.

6.1. თქვენი არჩევანი თქვენი მონაცემების გამოყენების შესახებ

თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ, არ მოგვანოდოთ გარკვეული მონაცემები, მაგრამ შეიძლება ვერ შეძლოთ სერვისების გარკვეული ფუნქციების გამოყენება.

იმისათვის, რომ შეწყვიტოთ ჩვენგან სარეკლამო კომუნიკაციების მიღება, შეგიძლიათ უარი თქვათ გამოწერის გაუქმების მექანიზმის გამოყენებით სარეკლამო კომუნიკაციაზე, ან შეცვალოთ ელ.ფოსტის პარამეტრები თქვენს ანგარიშში. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ელ.ფოსტის პრიორიტეტების პარამეტრების მიუხედავად, ჩვენ გამოგიგზავნით ტრანზაქციისა და სხვა შეტყობინებებს სერვისებთან დაკავშირებით, მათ შორის ადმინისტრაციულ დადასტურებებს, შეკვეთის დადასტურებას, სერვისების შესახებ მნიშვნელოვან განახლებებს და შეტყობინებებს ჩვენი პოლიტიკის შესახებ.

ბრაუზერმა ან მოწყობილობამ, რომელსაც იყენებთ, შეიძლება მოგცეთ ქუქი-ფაილების და სხვა ტიპის ლოკალური მონაცემების შენახვის საშუალება. თქვენი მოწყობილობა ასევე საშუალებას მოგცემთ, გააკონტროლოთ მდებარეობის ან სხვა მონაცემების შეგროვება და გაზიარება.

Apple iOS, Android OS და Microsoft Windows თითოეულს აქვს საკუთარი ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ აკონტროლოთ აპში მორგებული რეკლამა. სხვა მოწყობილობებისა და ოპერაციული სისტემებისთვის, თქვენ უნდა გადახედოთ თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრებს ამ პლატფორმაზე.

თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვა თქვენს მონაცემებთან, მათ გამოყენებასთან ან თქვენს უფლებებთან დაკავშირებით, დაგვიკავშირდით info@digitalnews.ge

6.2. თქვენი პერსონალური მონაცემების წვდომა, განახლება და წაშლა

თქვენ შეგიძლიათ გკონდეთ წვდომა და განახლოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, რომლებსაც დიჯიტალ ნიუსი აგროვებს და ინახავს შემდეგნაირად:

უშუალოდ მოწოდებული მონაცემების განახლებისთვის შედით თქვენს ანგარიშში და განახლეთ თქვენი ანგარიში ნებისმიერ დროს.

თქვენი ანგარიშის შესაწყვეტად:

თუ სტუდენტი ხართ, ეწვიეთ თქვენი პროფილის პარამეტრების გვერდს და მიჰყევით აქ დეტალურ ნაბიჯებს.

თუ ინსტრუქტორი ხართ, მიჰყევით აქ დეტალურ ნაბიჯებს.

თუ რაიმე პრობლემა გაქვთ თქვენი ანგარიშის შეწყვეტასთან დაკავშირებით, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ჩვენი მხარდაჭერის გუნდს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ: თქვენი ანგარიშის შეწყვეტის შემდეგაც კი, თქვენი ზოგიერთი ან ყველა მონაცემი შეიძლება კვლავ იყოს ხილული სხვებისთვის, მათ შორის შეზღუდვის გარეშე ნებისმიერი მონაცემი, რომელიც (ა) იქნა კოპირებული, შენახული ან გავრცელებული სხვა მომხმარებლების მიერ (მათ შორის, კომენტარები კონტენტზე); (ბ) გაზიარებული ან გავრცელებული თქვენი ან სხვების მიერ (მათ შორის თქვენს გაზიარებულ კონტენტში); ან (გ) გამოქვეყნებულია მესამე მხარის პლატფორმაზე. თქვენი ანგარიშის შეწყვეტის შემდეგაც კი, ჩვენ ვინახავთ თქვენს მონაცემებს მანამ, სანამ გვაქვს ამის ლეგიტიმური მიზანი (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად), მათ შორის სამართლებრივი ვალდებულებების, დავების გადაწყვეტისა და ჩვენი შეთანხმებების აღსრულება. ჩვენ შეიძლება შევინარჩუნოთ და გავამჟღავნოთ ასეთი მონაცემები ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად თქვენი ანგარიშის შეწყვეტის შემდეგ.

6.3. ჩვენი პოლიტიკა ბავშვებთან დაკავშირებით

ჩვენ ვადიარებთ ბავშვების კონფიდენციალურობის ინტერესებს და მოვუწოდებთ მშობლებსა და მეურვეებს, მიიღონ აქტიური როლი მათი შვილების ონლაინ აქტივობებსა და ინტერესებში. 18 წელზე უმცროსი პირები, მაგრამ საჭირო ასაკისა იმისთვის, რომ თანხმობა მიიღონ ონლაინ სერვისებით, შეიძლება არ შექმნან ანგარიში, მაგრამ შეიძლება ჰყავდეთ მშობელი ან მეურვე. გახსენით ანგარიში და დაეხმარეთ მათ შესაბამისი შინაარსის წვდომაში. ონლაინ სერვისების გამოყენებაზე თანხმობისთვის აუცილებელ ასაკზე უმცროსმა პირებმა არ შეიძლება გამოიყენონ სერვისები. თუ გავიგებთ, რომ ამ ასაკამდე ბავშვის პერსონალური მონაცემები შევადგინეთ, მივიღებთ გონივრულ ზომებს მის წასაშლელად.

მშობლებს, რომლებსაც სჯერათ, რომ დიჯიტალ ნიუსმა შესაძლოა შეაგროვა პერსონალური მონაცემები ამ ასაკამდე ბავშვისგან, შეუძლიათ წარადგინონ მოთხოვნა, რომ ის წაიშალოს მისამართზე info@digitalnews.ge

7. განახლებები და საკონტაქტო ინფორმაცია

როდესაც ამ პოლიტიკაში არსებით ცვლილებას შევიტანთ, მომხმარებლებს შევატყობინებთ ელფოსტით, პლატფორმაზე შეტყობინებით ან კანონით მოთხოვნილი სხვა მექანიზმით. ცვლილებები ძალაში შედის მათი გამოქვეყნების დღიდან. გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტით ან ნებისმიერი შეკითხვის, პრობლემის ან დავის შესახებ.

7.1. ცვლილებები ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში

დროდადრო, ჩვენ შეიძლება განვაახლოთ ეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა. თუ ჩვენ მასში რაიმე მატერიალურ ცვლილებას შევიტანთ, შეგატყობინებთ ელფოსტით, სერვისებზე განთავსებული შეტყობინების მეშვეობით ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ცვლილებები ძალაში შევა მათი გამოქვეყნების დღიდან.

როგორც ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით, თუ თქვენ განაგრძობთ სერვისების გამოყენებას ნებისმიერი ცვლილების ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ, მაშინ თქვენი წვდომა ან/და გამოყენება ჩაითვლება შესწორებული კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიღებად (და თანხმობად). შესწორებული კონფიდენციალურობის პოლიტიკა ანაცვლებს ყველა წინა კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

7.2. ინტერპრეტაცია

ნებისმიერი კაპიტალიზებული ტერმინი, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ პოლიტიკაში, განისაზღვრება ისე, როგორც მითითებულია პლატფორმის გამოყენების წესებსა და პირობებში.

7.3. კითხვები

თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვა, პრობლემა ან დავა ჩვენს კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან დაკავშირებით, გთხოვთ, თავისუფლად დაუკავშირდეთ ჩვენს გუნდს მისამართზე info@digitalnews.ge.